# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
# უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

## ო ქ მ ი № 22

15 ივნისი 2004 წ ქ ბათუმი

სხდომას
თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფაღავა

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: გიზო მჭედლიძე, გუგული დუაძე, გულნარა ბზიკაძე, სერგო დუმბაძე, ლევან ჩავლეიშვილი, მ. წულუკიძე, ქეთევან ჯიქია

სხდომას არ ესწრებოდა: სიმონ ჩხაიძე

მოისმინეს: უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კომისიას განსახილველად წარმოუდგინა დღის წესრიგის პროექტი

უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე -8
წინააღმდეგი 0
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 8 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

## დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. განკარგულება აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებისათვის საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაცია "ბრიტანეთ-ჰელსინკის" ადამიანის უფლებათა დაცვის ჯგუფის რეგისტრაციაში გატარების შესახებ;

2. განკარგულება აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებისათვის საერთაშორისო დამკვირვებელთა ჯგუფის რეგისტრაციაში გატარების შესახებ;

3. განკარგულება აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებისათვის საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაცია "საერთაშორისო გამჭვირვალეობა საქართველო"-ს რეგისტრაციაში გატარების შესახებ.

4. განკარგულება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებისათვის საოლქო საარჩევნო კომისიების ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ;

5. სხვადასხვა

1. განკარგულება აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებისათვის საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაცია "ბრიტანეთ-ჰელსინკის" ადამიანის უფლებათა დაცვის ჯგუფის რეგისტრაციაში გატარების შესახებ;

მოისმინეს: უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ წარმოადგინა განკარგულების პროექტი აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებისათვის საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაცია "ბრიტანეთ-ჰელსინკის" ადამიანის უფლებათა დაცვის ჯგუფის რეგისტრაციაში გატარების შესახებ

აზრი გამოთქვეს: კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ და კომისიის წევრებმა თანხმობა განაცხადეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის დამტკიცების თაობაზე

უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -8
წინააღმდეგი 0
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 8 წევრი)

2. განკარგულება აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებისათვის საერთაშორისო დამკვირვებელთა ჯგუფის რეგისტრაციაში გატარების შესახებ;

მოისმინეს: უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ წარმოადგინა განკარგულების პროექტი აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებისათვის საერთაშორისო დამკვირვებელთა ჯგუფის რეგისტრაციაში გატარების შესახებ;

აზრი გამოთქვეს: კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ და კომისიის წევრებმა თანხმობა განაცხადეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის დამტკიცების თაობაზე

უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -8
წინააღმდეგი 0
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 8 წევრი)

3. განკარგულება აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებისათვის საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაცია "საერთაშორისო გამჭვირვალეობა საქართველო"-ს რეგისტრაციაში გატარების შესახებ.

მოისმინეს: უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ წარმოადგინა განკარგულების პროექტი აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებისათვის "საერთაშორისო გამჭვირვალეობა საქართველო"-ს რეგისტრაციაში გატარების შესახებ;

აზრი გამოთქვეს: კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ და კომისიის წევრებმა თანხმობა განაცხადეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის დამტკიცების თაობაზე

უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -8
წინააღმდეგი 0
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 8 წევრი)

4. განკარგულება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებისათვის საოლქო საარჩევნო კომისიების ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ;

მოისმინეს: უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ წარმოადგინა განკარგულების პროექტი აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებისათვის საოლქო საარჩევნო კომისიების ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ;

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრმა გიზო მჭედლიძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტში ამოსაღებია პირველი მუხლი, რომელიც ციტირდება შემდეგნაირად: ''დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებისათვის საარჩევნო უბნის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის მონაცემების შემოწმებისა და ცვლილებების შეტანის საოლქო საარჩევნო კომისიების განკარგულების ფორმა თანდართული ნიმუშის მიხედვით". საქმე იმაში გახლავთ, აღნიშნა მან, რომ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის მონაცემების შემოწმების შედეგად მასში ცვლილების შეტანა დაუშვებელია, რადგან საქართველოს ორგანული კანონის "საარჩევნო კოდექსის" 51[1]-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, აკრძალულია შემაჯამებელ ოლქში შეტანილი მონაცემების გადასწორება. ასეთი ოქმი ბათილია.

უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -8
წინააღმდეგი 0
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 8 წევრი)

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე ი. ფაღავა

კომისიის მდივანი გ. მჭედლიძე